



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4923257001

თარიღი:14/09/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების

**მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ქეთევან კირტავას
შვებულების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ ა “ ქვეპუნქტისა და „ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **ქეთევან კირტავას** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2022 წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით, 8 სამუშაო დღე, 2023 წლის 18 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტის ქეთევან კირტავას ფუნქციების შესრულება, დროებით დაეკისროს ამავე განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს **ნინო ლომიძეს**.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხისა და ნინო ლომიძისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში სახელფასო დანამატის მიცემა.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

